



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 921

2016 წლის 26 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 27 ივნისის №648 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 27 ივნისის N648 ბრძანებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“. კერძოდ, იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტის თამარ დარბაიძის (კომისიის მდივანი) კუთვნილ შვებულებაში გასვლის გამო, კომისიის შემადგენლობას დაემატოს კომისიის წევრი - ნინო ბატიაშვილი (იურიდიული სამსახურის უფროსი), ხოლო კომისიის მდივნის ფუნქცია მიენიჭოს, კომისიის წევრს - გიორგი მჭედლიშვილს (ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

მუხლი 2. ბრძანების პირველი მუხლით განხორციელებული ცვლილება ძალაშია 2016 წლის 2 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:



ვარლო ჯამბურია